



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კურორტოლოგია და ფიზიოთერაპია

(მედიცინის ფაკულტეტის
სტუდენტებისათვის)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2001



ს
ა
ხ
ე
ლ
მ
წ
ი
ფ
ო
უ
ნ
ი
ვე
რ
ს
ი
ტ
ე
ტ
ი

„დამტკიცებულია“

სასწავლო-მეთოდური სამმართველოს უფროსი,
დოცენტი ნ. სხირტლაძე

„8“ „XI“, 2001 წ.

შემდგენელი და რედაქტორი

პროფ. თ. ჯაფარიძე

პროგრამა განხილული და მოწონებულია მედიცინის ფაკულტეტის მეთოდსაბჭოს მიერ.

პასუხისმგებელი გამოცემაზე ნანა ბუაძე

I. დისციპლინის მიზნები და ამოცანები

ფიზიოთერაპიის და კურორტოლოგიის კურსი განიხილება როგორც მედიცინის შემადგენელი ნაწილი, რომლის მიზნებს წარმოადგენს სხვადასხვა ფიზიკური ფაქტორების გამოყენება როგორც სამკურნალოდ, აგრეთვე პროფილაქტიკის მიზნითაც. ფიზიოთერაპია შედგება სხვადასხვა ნაწილისაგან რაც დამოკიდებულია გამოყენებულ ფიზიო-ფაქტორებზე: ელექტროთერაპია, ფიტოთერაპია, ჰიდრო- და თერმოთერაპია, მასაჟი და მკურნალობა კურორტოლოგიური ფაქტორების გამოყენებით. ფიზიოთერაპიული მეთოდები ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დაავადებების დროს როგორც დამოუკიდებლად, აგრეთვე კომპლექსში სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად.

სხვადასხვა სახის ფიზიოთერაპიული საშუალებები გამოიყენებიან დაავადების სხვადასხვა პერიოდებში. ფიზიოთერაპიული ფაქტორების ზემოქმედება არ შემოიფარგლება მარტო კანის ნერვული დაბოლოებებით და ცენტრალური ნერვული სისტემით. მორფოლოგიური ცვლილებების გარდა ორგანიზმში წარმოიქმნებიან ქიმიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც სისხლისა და ლიმფის დინებით ახდენენ ზემოქმედებას სათანადო სისხლძარღვოვან რეცეპტორებზე და იწვევენ სხვადასხვა რეფლექტორულ რეაქციებს ავადმყოფის ორგანიზმში. ორგანიზმის საპასუხო რეაქცია დამოკიდებულია ცენტრალური ნერვული სისტემის რეაქტულობაზე, კანის რეცეპტორების მგრძნობელობაზე, სისხლის მიმოქცევის სისტემის მდგომარეობაზე, ზემოქმედების ზონაზე და ინტენსივობაზე. არჩევენ ადგილობრივ და ზოგად რეაქციებს ფიზიოთერაპიული ფაქტორების ზემოქმედებისას ადამიანის ორგანიზმზე. სამედიცინო პერსონალი ვალდებულია ერკვეოდეს სამკურნალო პროცედურების ჩატარების მეთოდებაში და ტექნიკაში, რაც დადებითი შედეგების საწინდარია.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს
ე რ ო ჯ ნ უ ლ ი
ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა



II. დისციპლინის შინაარსი

ელექტრობის არსი. ელექტრობა და მისი სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით გამოყენება. ელექტრობით მკურნალობის მეთოდების კლასიფიკაცია. ქსოვილების ელექტროგამტარობა. ქსოვილების ბიოელექტრული პოტენციალი. ელექტრობა, როგორც ბიოლოგიური გამღიზიანებელი. მუდმივი დენის ფიზიოლოგიური მოქმედება. გალვანიზაციის აპარატები. მათი ფიზიკური დახასიათება. გალვანიზაციის ტექნიკა, მეთოდები და დოზირება. სამკურნალო ელექტროფორეზით ორგანიზმში სამკურნალო ნივთიერებების შეყვანის პრინციპები. სამკურნალო ელექტროფორეზის ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმი. გამოყენება. მუდმივი იმპულსური დენების სხვადასხვა ფორმები და მათი გამოყენება მკურნალობისა და დიაგნოსტიკისათვის. ელექტროსტიმულაცია და ელექტროდიაგნოსტიკა. ელექტროძილი, ამპიპულსი და დიადინამოთერაპია — ბერნარის დენები. მუდმივი იმპულსური დენების აპარატებით მკურნალობის პრინციპები. მაღალი სიხშირის იმპულსური დენი — დარსონვალიზაცია. ორგანიზმზე მოქმედების პრინციპები. დარსონვალიზაციის მეთოდით მკურნალობის პრინციპები. ელექტრომაგნიტური ტალღების და მაღალი სიხშირის დენების კლასიფიკაცია. დიათერმია. ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმი. დიათერმიით მკურნალობის პრინციპები. ინდუქტოთერაპია — მოკლევადიანი დიათერმია. მოქმედების მექანიზმი. ინდუქტოთერმიით მკურნალობის პრინციპები. ულტრამაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველი. მოქმედების მექანიზმი და მკურნალობის პრინციპები. მიკროტალღებით მკურნალობის პრინციპები. სტატიკური ელექტრობა. ფრანკლინიზაცია. მკურნალობის პრინციპები. ვიბროთერაპია. ორგანიზმზე ულტრაბგერის მოქმედება — მექანიკური, სითბური, ქიმიური. ულტრაბგერით მკურნალობის პრინციპები. ულტრაფონოფორეზი. მკურნალობის პრინციპები. აეროიონოთერაპია. მკურნალობის პრინციპები. ფოტოანუ აქტინოთერაპია. სინათლის სპექტრი და მათი ფიზიკური დახასიათება. სინათლის მოქმედება ორგანიზმზე და მკურნალობის



პრინციპები. ლაზეროთერაპია. ლაზერის სხივების ბიოლოგიური მოქმედება. ლაზეროთერაპიით მკურნალობის პრინციპები. აეროზოლი და ელექტროაეროზოლი. ჰიდროთერმოთერაპიული პროცედურები: აბაზანები, შხაპები, სველი შეფუთვა, გადავლება, ჩაბანა და სხვა. თერმოთერაპიული საშუალებანი: პარაფინით, ქვიშით, თიხით და ნავთალანით მკურნალობა. კურორტოლოგია. სამედიცინო კლიმატოლოგია. კლიმატოთერაპია. ბალნეოლოგია და ბალნეოთერაპია. სასმელ-სამკურნალო წყლების გამოყენების პრინციპები. ბალნეოთერაპიის ძირითადი სახეები და მკურნალობის პრინციპები. ტალახით მკურნალობა – პელოიდოთერაპია. ორგანიზმზე სამკურნალო ტალახის მოქმედების მექანიზმი და მკურნალობის პრინციპები.

III. ცოდნის დონის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები

ფიზიოთერაპია, კურორტოლოგია, რეაბილიტაციის კურსის შესწავლის მანძილზე სტუდენტის ცოდნის დონის შეფასება მიმდინარეობს მომზადებული რეფერატებით გარკვეულ თემებზე, აქტივობით სემინარულ მეცადინეობებზე, სხვადასხვა პროცედურების ჩატარებით ავადმყოფებზე და ტესტური გამოკითხვით.

IV. სასწავლო-მეთოდური მასალები

საგნის სასწავლო კურსში ფართოდ გამოიყენება სათანადო თემატიური პლაკატები, დიაგრამები, სლაიდები, ფოტომასალები, ატლასები და სხვა თვალსაჩინო მასალები.


ლიტერატურა

1. მ. ი. ღვებუაძე, ფიზიოთერაპია და კურორტოლოგია, თბ., 1994
2. Боголюбов В. М., Курортология и физиотерапия, М., т. I-II, 1985



3. Вейс М., Зембато А., Физиотерапия, М., 1986
4. Улащик В. С., Новые методы и методика физической терапии, Минск, 1986
5. Пасынков Е. И., Физиотерапия, М., 1980
6. Кувенёв Ж. Ф., Аппаратная физиотерапия, Тб., Ганатлеба, 1981
7. Бошка В. Г., Богуцкий Б. В., Медицинская климатология и климатотерапия, Киев., Здоровья, 1980
8. Николова Л., Байкикева А., Специальная физиотерапия, София, Медицина и физкультура, 1974

F-78 395



გამომცემლობის რედაქტორი მ. ყორღანაშვილი

პირ. ნაბეჭდი თაბახი 0,5

სააღრ. საგამომც. თაბახი 0,18

შეკვეთის №145

ტირაჟი 200

უფასო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14

თბილისის უნივერსიტეტის სარედაქციო-ხადუბლიკაციო
კომპიუტერული სამსახური,
380028 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1

50er.

10²⁵⁷/₃₃

F 78.395
ეროვნული
ბიბლიოთეკა
3